

ქ. ფოთის სსიპ მე-11 საჯარო სკოლის მე-11

კლასის მოსწავლე სოფიკო თოდუა

16 წლის

„თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყველასა.“

სალამი, ძვირფასო ევროპელო მეგობარო.

თავს როგორ გრძნობ ევროპის სახით იმ დიდ სამყაროში, სადაც თავისუფლება კანონია და არა გულში ჩამწყვდეული სურვილი?

მე შენგან არც ისე შორს, კავკასიონის ამაყი მთებითა და შავი ზღვის ოქროსფერი სანაპიროებით გარემოცული საქართველოდან ვარ, რომელიც გულითადად ისწრაფვის გახდეს სრულფასოვანი წევრი ევროპის დიდი ოჯახისა. ამ წერილში მინდა გიამბო ჩემი თვალთ დანახული საქართველოს ეკლიანი მავთულხლართებით მოფენილ გზაზე - როგორ მივაღწიეთ ქვეყნის დამოუკიდებლობას და მივისწრაფვით იმ თავისუფლებისკენ, რომელიც ჯერაც ძიებაშია. საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა მხოლოდ ჩვენი დროის სურვილი არ არის, ის მრავალი საუკუნის განმავლობაში თან სდევდა ჩვენს ხალხს. ქართველები მუდამ ისწრაფოდნენ შეექმნათ თავისუფალი, ერთიანი და დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელშიც ეროვნული იდენტობა, რწმენა და ენა შეუვალ ფასეულობებად დარჩებოდა. სწორედ ამ მისწრაფებების გამოძახილი იყო 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა - ის იყო ჩვენთვის პირველი ნაბიჯი რეალური დამოუკიდებლობისკენ. 1918-1921 წლებში საქართველოს პირველი რესპუბლიკა დასავლური ღირებულებების მიმდევარი, დემოკრატიული სახელმწიფო იყო, რომელმაც მნიშვნელოვნად შეიმუშავა საკანონმდებლო ბაზა და დააფუძნა დემოკრატიული ინსტიტუტები. ამ პერიოდში მოღვაწე პირებს ჰქონდათ ნათელი ხედვა: საქართველო, როგორც თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფო, ევროპულ ცივილიზაციასთან შეუცვლელი პარტნიორი უნდა ყოფილიყო. ეს მისწრაფება, წლებთან ერთად, კიდევ უფრო გაღრმავდა და 1999 წელს ისტორიულ სიტყვებადაც გარდაიხაზა: „მე ვარ ქართველი, და მაშასადამე, ვარ ევროპელი,“ - ამ სიტყვებით ზურაბ ჟვანია ამ არა მხოლოდ საკუთარი იდენტობა, არამედ მთელი ერის ისტორიული მისწრაფება დააზუსტა, თუმცა ეს წარმატება მაშინვე აღმოჩნდა საფრთხის ქვეშ. რუსეთის იმპერიალიზმი, რომელიც ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროიდან ცდილობდა საქართველოს დამორჩილებას, ამჯერად წითელი არმიის სახით მოვიდა. 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის არმიამ დაიპყრო საქართველოს ტერიტორია და დაასრულა პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობა. ამ ერთმა დღემ წაგვართვა ნანატრი სახელმწიფოებრიობა და ჩაგვავადო თითქმის 70-წლიანი დაპყრობისა და იდეოლოგიური ჩაგვრის ბნელ პერიოდში. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნა ქართველი ერისთვის იყო კულტურის, ზნეობისა და განვითარების დაკნინების ხანა. ქართული ენა მუდმივად საფრთხის ქვეშ იყო,

სარწმუნოება შევიწროებული, ხოლო ეროვნული ცნობიერება - დაბეჩავებული. მიუხედავად ამისა, ქართველი მოაზროვნეები არ დანებდნენ. ისინი დაუღალავად ებრძოდნენ საბჭოთა რეჟიმს და თავიანთი სიტყვით, საქმითა და თავგანწირვით გამოავლინეს ნამდვილი თავისუფლების სიყვარული. მათი ბრძოლა იყო საფუძველი იმისა, რომ ეროვნული სულისკვეთება არ ჩაქრა. 1991 წლის 9 აპრილი კი ჩვენთვის იმედის სიმბოლოდ დარჩა. სწორედ ამ დღეს საქართველომ კვლავ აღადგინა ქვეყნის დამოუკიდებლობა, რომელიც ჩვენთვის დღემდე ხელშეუხებელია. ეს იყო ისტორიული აღდგენა, როგორც პოლიტიკური, ისე მორალური. ამ დღის მამოძრავებელი ძალა კი იყო ზვიად გამსახურდია - ეროვნული მოძრაობის ლიდერი, ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირველი პრეზიდენტი, რომელმაც გააერთიანა ერი ამ იდეის ირგვლივ. მისი წვლილი ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევაში ფასდაუდებელია.

დღეს მე, ახალგაზრდა, რომელიც უკვე დამოუკიდებელ საქართველოში დავიბადე, ვგრძნობ, რომ სრულფასოვანი თავისუფლება ჯერ კიდევ გზაშია. საზოგადოების აზროვნება ჯერაც ებრძვის საბჭოთა წარსულის ჩრდილს, ხოლო ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას თან ახლავს მუდმივი შრომა და თვითშეცნობაც. ჩვენ ვსწავლობთ ვიყოთ ევროპული დემოკრატიის ნაწილი - განვითარდეთ, გავთავისუფლდეთ ბარიერებისგან და გავხდეთ ევროპასთან შინაარსობრივად შეკავშირებული სახელმწიფო.

ახლა კი გემშვიდობები, ძვირფასო მეგობარო! იმედს ვიტოვებ, რომ სულ მალე ის დღე დადგება, როცა საქართველო შენს დიდ, თავისუფალ და ერთიან ოჯახს მტკიცედ შეუერთდება.

შეყვანის დილაკი

Hello, dear European friend. How do you feel living in that vast world we call Europe - where freedom is law, not a dream confined within the heart? I'm writing to you from not too far away - from Georgia, a country nestled between the proud mountains of the Caucasus and the golden shores of the Black Sea, a country that earnestly strives to become a full-fledged member of Europe's great family. In this letter, I want to share with you how I see Georgia's thorn-covered path - how we achieved independence and continue to seek the freedom that remains just out of reach.

Georgia's desire for independence is not just a modern-day wish- it is a longing that has followed our people for centuries. Georgians have always strived to create a free, unified, and independent state, where national identity, faith, and language remain sacred values. These aspirations culminated on May 26, 1918, when the First Democratic Republic of Georgia was proclaimed - a first step toward true independence.

Between 1918 and 1921, Georgia's First Republic was a democratic state guided by Western values. It made great progress in building a legislative foundation and establishing democratic institutions. The leaders of that era had a clear vision: Georgia as a free and sovereign nation, an inseparable partner of European civilization. Over the years, this vision only deepened - and in 1999, it was famously voiced in the words of Zurab Zhvania: "I am Georgian, and therefore I am European." In saying this, he not only affirmed his own identity but also the historic aspiration of our entire nation.

Sadly, this progress was soon under threat. Russian imperialism - which had sought to dominate Georgia since the days of the Tsar - returned, this time as the Red Army. On

February 25, 1921, Soviet Russia invaded Georgia and ended the life of our First Republic. That single day robbed us of our long-sought statehood and plunged us into nearly 70 years of occupation and ideological oppression.

Being part of the Soviet Union marked a dark era for the Georgian people - a time of cultural suppression and stagnation. Our language was threatened, our religion oppressed, and our national consciousness weakened. And yet, Georgian intellectuals never gave up. They resisted the Soviet regime with tireless spirit, courageous action, and unbreakable faith in freedom. Their struggle kept our national spirit alive through the darkest times.

April 9, 1991, remains a symbol of hope for us. On that day, Georgia once again restored its independence - an achievement we continue to cherish and defend. It was a political and moral rebirth. Leading this national awakening was Zviad Gamsakhurdia, the head of the national movement and the first president of independent Georgia. His contribution to our country's independence is truly immeasurable.

Today, as a young person born in an already independent Georgia, I feel that true freedom is still on its way. Our society still struggles to overcome the shadow of the Soviet past, and real independence requires ongoing effort and deep self-reflection. We are learning how to be part of European democracy - growing, shedding our old constraints, and becoming a nation truly connected to Europe in essence and spirit.

And now, dear friend, I bid you farewell. I truly hope that the day is near when Georgia will firmly join your great, free, and united family.

შეყვანის დღეა